იმერეთი

ყოველდღიური გაზეთი

ფ ა ს ი:
წლიურად . . . . 7 მანეთი.
ნახევარი წლით . . . . 4 მ.ნეთი
თვიურად . . . . 4 აბაზი.
ცალკე ნუმრის ერთი შაური.

წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილად გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 3 მანეთი და დანარჩენი კი ყოვ. ნაწილნაწილად. საზღვარგარეთ წლიურად 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურად 6 აბაზი.

№ 32
წელიწადი პირველი
1912
პარასკევი 2 ნოემბერი

რედაქცია მოთავსებულია ქუთაისში, ივანოვის ქუჩაზე, მ. ი. ჭილაძის სახლში, (ჭიათურის შავიქვის მრეწველთა საბჭოს პირდაპირ).

ამა 1912 წ. 26 სექტემბრიდან ქ. ქუთაისში გამოდის ყოველდღიური ქართული გაზეთი

იმერეთი

(წელიწადი პირველი)

გაზეთის ფასი

ერთი წლით . .	7 მანეთი.
ნახევარი წლით . .	4 მანეთი.
ერთი თვით . .	4 აბაზი.
ცალკე ნუმერი . .	შაური.

1 ოქტომბრიდან ახლის დამდეგამდე გაზეთი ღირს 2 მანეთად. მოწაფეებს და სოფლის მასწავლებლებს დაუთმობთ მანეთ ნახევრად.

მისამართის გამოცვლა—10 შაური.

განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტით სტრიქონი ღირს 6 შ., მეოთხეზე აბაზი, შიგნით გვერდებზე მორიგებით. სამგლოვიარო განცხადება—3 მანეთად. ფული და გაზეთის ყოველგვარი საკანტორო ანგარიში უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: Въ гор. Кутаисъ, редакція и контора газеты „ИМЕРЕТИ"

Антону Михаиловичу Хеладзе.

სხვანაირად გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

პაეზე დაფუძნებული ამხანაგობა

ს. მ. კირაკოზოვის ᲓᲐ ბ. გ. ოგანოვის

ქ. ქუთაისში, გიმნაზიის ქუჩა, საკუთარი სახლი.

მომავალი ამა სეზონისთვის მიღებულია აუარებელი და დიდძალი ახარჩევი საქონელი: აბრეშუმის, შალის, მაუდის, მატყლის, ტილოსი და ბამბისა.

ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲠᲩᲔᲕᲘ:

პლიუშის, ველვეტის, საბნების, ნოხების, „დაროჟკის", გორდონი ტიულის, ბრეზენტის, ტილოსი, ჯუტის და ყოველნაირი მაუდების და ფორმის მატერიების სამხედრო და სამოქალაქო უწყებათათვის ᲓᲐ ყველა სასწავლებლისათვის. სუფრის ჩაის და ლოგინის თეთრეული, სერვიზები ყოველნაირი ბამბაზეა, შოტლანდა ᲓᲐ ვიგონები.

ᲛᲐᲚᲐᲖᲘᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲬᲧᲝᲑᲘ ᲡᲐᲕᲡᲔᲐ ᲡᲔᲖᲝᲜᲘᲡ ᲐᲮᲐᲚ-ᲛᲝᲓᲘᲡ ᲡᲐᲥᲝᲜᲚᲘᲗ.

ᲠᲐᲓᲒᲐᲜᲐᲪ ჩვენს ამხანაგობაში მონაწილენი არიან სხვილი და გამოჩენილი ქარხნების პატრონები Ქ. ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡᲐ, ამისათვის ფასები დანიშნულია რიგიანი და შეუვაჭრებლად. მიიღება აგრეთვე დაკვეთა ყველა სახელმწიფო, და კერძო დაწესებულებათათვის ნაღდ ფასად.

ქუთაისის განყოფილება.

1 ნოემბერს ქალაქ ქუთაისში არქიერის გორაზე გადაიცვალა ნადვორნი სოვეტნიკი

ალექსი დავითის ძე ლორთქიფანიძე

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ქვრივი ირინა იოსების ასული, შვილი მისი ვლასი, დები: პელაგია და ოლღა. გამოსვენება მოხდება 4 ნოემბერს, კვირას ნაშუადღევის 3½ ს., არქიერის გორა საკუთარი სახლი. პანაშვიდები ყოველ დღე 4½ საათ.

ᲜᲝᲔᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ Ქ. ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲐ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲙᲕᲘᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ

✦✦✦ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ. ✦✦✦

ჟურნალის მიზანია ემსახუროს ჩვენი სოფლის ნივთიერ, კულტურულ და გონებრივ აღორძინებას.

ჟურნალი ღირს:

თი წლით	—	4 მან.	ერთი თვით	—	2 აბაზი
ხევარი	—	2 „	ცალკე ნუმერი	—	2 შაური
თვით	—	1 „	საზღვარგარეთ ორჯერ მეტი.		

ლის მოწერა მიიღება ქუთაისში ის კეცარიძესთან, მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში და სამეურნეო შკოლაში. თფილისში წ. კ. გ. საზ. წიგნის მაღაზიაში, თომში „განთიადში". ბიორგი მახარაძესთან. ფოთში ჟურნალ გაზეთების შკაფთან სიმ. ორაგველიძესთან. ოზურგეთში წიგნის მაღაზიაში მ. თალაკვაძესთან. სტაურში ს. თავართქილაძესთან. დანჩხუთში ბარლამ ქალანდაძესთან. ჯუმათში სილ მასხულიასთან. სამტრედიაში ისიდორე სტურუასთან და წ. კ. გ. საზ. ნყოფილების წიგნის მაღაზიაში. ზესტაფონში წ. კ. განყ. წიგნის მაღაზიაში პლატონ ქიკნაველიძესთან. გორში არ. ქალანდაძესთან. ხაშურში პირველ კლასის ფეტში ვ. რ. ჩიქოვანთან და ს. უაჭეიშვილთან, წიგნის მაღაზიაში. ჭიათურაში ანე ბომელაურთან და „ჩვენს ოჯახში", საჩხერეში აქიმს ჭოლოშვილთან.

ადრესი წერილებისა და ფულისათვის: ქუთაისი, სამეურნეო შკოლა „საფლო გაზეთისათვის".

რედაქტორ-გამომცემელნი: პ. გ. წულუკიძე და ალ. შარაშიძე.

პირდაპირ ნახევარ ფასად იყიდება!

ახლად მიღებული საქონელი შემთხვევით ნაყიდი და პირველი ღირსების, რუსეთისა და საზღვარგარეთის საუკეთესო ქარხნების და უკანასკნელი მოდის.

იყიდება დაიწყება **დღეის რიცხვიდან მოკლე ვადით** ქ. ქუთ. ბულვარის პირდაპირ.

. ოცხელების შენობაში ახვლედიანის მაღაზიის მეორე განყოფილებაში, სადაც იყიდება შემდეგი ახლად მიღებული საქონელი: კაცის ყოველნაირი მშვენიერი კასტუმები მან. დაიწყება ფასი და ამას ზევით, რა ფასიანიც ესურვებათ; კაცის, ქალისა და ბავშვების ყოველნაირი პალტოები ზამთრისათვის, საშემოდგომო და საზაფხულო, კაცის ფრთლები და პიჯაკები, ფეხსაცმელები ქალის, კაცისა და ბავშვების საუკეთესო ფირმების მრავალგვარი, საუკეთესო ღირსების და გამოჩენილი ქარხნების აბრეშუმის იუბკები, შალის კაბის ქვედა წელები, რუბაშკები და სარუბაშკეები ნაჭრობით;

ᲐᲚᲝᲛᲔᲑᲘ, კაცის, ქალისა და ბავშის, რედიკულები, ალბომები, სარკეები და ღია ბარათის ალბომები, ქალის და კაცის ქამრები და საქამრე რეზინები და სხვა მოწყობილება მისი, ყოველნაირი რეზინა წინსაკრავისთვის და აგრეთვე მზა წინსაკრავი ქალთა და ბავშვთათვის. სამუსიკო იარაღები საციამოვნო ნოტებით, კორსეტები და სხვა ამასთანავე მოვახსენებთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ ახვლედიანის მაღაზიაში არის ახლადვე მიღებული დიდძალი საგალანტერეო საქონელი მზა ტანისამოსები და ფეხსაცმელები კაცის, ქალის და ყმაწვილების და ასეთებს კიდევ ვღებულობთ ყოველ დღე.

ფასები ხელმისაწვდომია და უვაჭროთ. პატივისცემით ა. ᲐᲮᲕᲚᲔᲓᲘᲐᲜᲘ.

ალექსანდრე კოსტავას

ევროპიული ტანსაცმელების მაღაზიაში

თფილისის ქუჩაზე, აფთიაქთან.

ახლად მივიღეთ: კოსტიუმები, საშემოდგომო და საზამთრო პალტოები, აგრეთვე მოწაფეებისათვის, საწვიმარი მოსასხურავები და სხვა შეკერილი ტანისამოსი. ყველაფერი მეტად დაკლებულ ფასად იყიდება, რადგანაც ნაღდზე მაქვს ნაყიდი და ქარხნებმა ძლიერ დამიკლეს ფასები. აგრეთვე ვღებულობ „ზაკაზებს" ძლიერ ხელმიმცემ ფასად, გვაქვს რუსული და ევროპიული ყოველგვარი საკოსტიუმო მატერია კაცებისათვის.

მ ი ა ქ ც ი ე თ ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა!

მიაქციეთ ყურადღება!

გ. დ. კაქკაჭოვის

ახლად გაღებული ფართლეულის

ᲛᲐᲚᲐᲖᲘᲐ

ბულვარის პირდაპირ.

მივიღეთ და ყოველ დღე ვღებულობთ დიდძალ ახალმოდის საზამთრო მატერიებს: შალეულს, მაუდეულს, აბრეშუმეულს, ტილოს, ბ... ლს, მაგიდის ყოველნაირ გასაწყობს. აგრეთვე რუბაშკებს ... ლის, აბრეშუმის, საზღვარ-გარეთისა და რუსეთის ტულის ფარდებს.

საქონელი ... ბა სხვა მაღაზიებთან შედარებით, დაკლებულ ...

განსაკუთრ... მოწაფეებს ფორმის ტანისამოსში 5 პროც. შეღავათი ეძლევათ.

მიაქციეთ ყურადღება!

გაიხსნა

✦ ახალი ✦

სავაჭრო სახლი

ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲥᲝᲜᲚᲘᲗ

ᲘᲕᲐᲜᲔ Მ. ᲙᲐᲙᲐᲜᲐᲫᲘᲡᲐ

ქ. ქუთაისში, მიხეილის ქუჩა, მმ. გოკიელის საგაზროს გვერდ.

სავაჭრო სახლში მოიპოვება ახლად მიღებული: ყოველგვარი საბაკალეინო და საგასტრონომიო საქონელი. საზღვარგარეთის და რუსეთის ყოველნაირი მაგარი სასმელი, სამკურნალო და სუფრის ღვინო.

და აგრეთვე ყველა ცნობილი ფირმის საკანდიტერო ტკბილეულობა და კონსერვები.

ფასები ზომიერი, ყოველი კონკურენციის გარეშე და შეუვაჭრებლად.

ძმ. ე. ᲓᲐ პ. ᲡᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ

ქუთაისში.

გვაქვს პატივი ვაუწყოთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ 1 აპრილიდან ჩვენ გადავიტანეთ ჩვენი

რ კ ი ნ ე უ ლ ო ბ ი ს ს ა ვ ა ჭ რ ო

პუშკინის ქუჩაზე, საკუთარ შენობაში, და შესამჩნევად გავაფართოვეთ იგი. მაღაზიაში იყიდება ყოველგვარი რკინეულობის მასალა საშენებლად, მაგ., კარ-ფანჯრების და ბუხრ-ღუმელების; მოწყობილობა, დურსძანი რკინის ხიჩბები, წერაქვები და სხვ., სახელოსნო ხელსაწყობ, ფანჯრების მინები, მავთული, თუნუქი, „ჟეშტი", სხვადასხვანაირი ემალიანი ჭურჭლეულობანი ყოველგვარი სღებავი წამალი, შპალიერი, ელექტრონის ზარები მოწყობილება-ცემენტი, ალიბასტრი და მრავალი სხვა საქონელი ჩვენი ხელობისა.

ფ ა ს ე ბ ი ზ ო მ ი ე რ ი ა.

ბებია ქალი მ. ი. ბუგაძოვსისა, ვკურნავ განქვეშ შესამხაპუნებელი წამლით. ივანოვის ქ. სახლი ბაჯიაშვილის № 20

აქიმი ჯაფარიძე იღებს შინაგანის ბავშების, აგრეთვე: ყელის, ცხვირის და ყურის სნეულებით ავათმყოფებს. თფილისის ქუჩა სახლი ნიჟარაძისა.

Დ Ღ Ი Უ Რ Ი.

მადრიდში ვიღაც უცნობმა რევოლვერით მინისტრთა პრეზიდენტი კანალეხასი მოკლა და თვითონაც თავი მოიკლა.

— მიტროპოლიტი ანტონი წინანდებულად მძიმე ავადაა.

— ოსმალეთის სამხედრო სამინისტრომ კორესპონდენტებს პოზიციების დათვალიერება აუკრძალა.

— კანალეხასის მკვლელი ანარქისტია.

ოსმალეთსა და ბალკანეთის სახელმწიფოებს შორის სამშვიდობო მოლაპარაკება ჯერ კარგად მიდის.

— პაშიჩის აზრით, ცნობა, თითქოს სერბიამ ალბანეთზე პრეტენზია შეწყვიტაო, მოგონილია.

— ამერიკიდან დაბრუნებულ ბულგარლებს პრაგაში ხალხი ოვაციებით ხვდება.

— კნ. ელენე პეტრეს ასული ვრანიეს წავიდა.

— ბერლინის ბანკმა წითელ ჯვარს 10,000 მარკა შეწირა.

— სევასტოპოლში მატროსს მაიოტინს სიკვდილით დასჯა უვადო კატორღით შეუცვალეს.

— სალონიკში ბერძნებს უბრძოლველად დანებდა 25000 ოსმალო.

— ხმაა—სტამბოლში უკვე დაიწყეს ქრისტიან მცხოვრებთა დარბევაო.

— დიმოტიკაში, გიუმილჯინში და სილივრში ქრისტიანებს ჟლეტენ.

— პეტერბურგში ს. სტროგანოვის სასახლეში 50000 მანეთი მოიპარეს.

— სტამბოლში რუსეთის ელჩმა რუსებს გამოუცხადა: ხიფათის დროს შეგიძლიათ თავი რუსეთის გემებს შეაფაროთო.

— ბულგარეთის ჯარს გადაუწყვეტია სტამბოლში შევიდეს და ზავის ჩამოგდებამდი იქ დარჩეს.

— გერმანიაში ხმა გავრცელდა, რუსეთი პროტესტს აცხადებს ბულგარელების იმ განზრახვაზე რომ სტამბოლი დაიპყროსო.

— ავსტრია ურჩევს ოსმალეთს ომი განაგრძოს.

═ სერბია ავსტრიის საზღვარზე ჯარს აძლიერებს.

— სამთა კავშირი შეეკითხა ავსტრიას: გვაცნობე იმის მიზეზი რომ ბალკანეთის საზღვრებზე ჯარს გზავნი.

— არჩევნები გათავდა. არჩეულია სულ 439 დეპუტატი. მათში მემარჯვენეა 143, ნაციონალისტი 59, ოკტომბრისტი 78, პოლონეთის კოლოს წევრი 11, ქართველ-ნაციონალისტი 1, ბელორუს—პოლონელ-ლიტველი 5, მაჰ.დიანი 3, უპარტიო 6, პროგრესისტი 46, კადეტი 60, ~~მემარჯვენე~~ 13 და სოციალდემოკრატი 14.

— გუჩკოვი ბელგრადში წავიდა.

— სატახტო გაზეთების ცნობით სკობელევის მოკვლა განუზრახავთ და ამისათვის სკობელევი თფილისიდან წასულა.

— სალონიკის აღების შემდეგ ველეს თავი მოუკლავთ.

— ეგვიპტეში ინგლისს გადაუწყვეტია სირია აიღოს. ქამილ ფაშა არაა კმაყოფილი რომ ომი გძელდება, ის სამსახურიდან გადადგა.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ.

დღეს, პარასკევს საღამოს 7 საათზე შავი ქვის საბჭოს სადგომში ქალთა წრის კრებაა დანიშნული. ეს კრება მითია საგულისხმო, რომ მას დაესწრება მწერალი ქალი ეკატერინე გაბაშვილისა და ალ. გარსევანიშვილი ამ მწერალი ქალის ნაწერების გამო გამართავს საუბარს.

მცირე შენიშვნა ამ ქალთა წრის გამ-

გეობას: როგორც გადმოგვცეს, პრესის წარმომადგენელს ნება არ აქვს კრებაზე დაესწროს.—ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ წრეს საიდუმლო არაფერი უნდა ჰქონდეს—და გვეკვირს ასეთი განკარგულება.

✦ გუშინდელი ნუმერი ჩვენი გაზეთისა პროვინციის ზოგიერთ ადგილს თავის დროზე ვერ გაიგზავნა, ზოგან, იქნება, დღევანდელ ნუმერთან ერთად მიუვიდეთ. ძველ სტამბასთან ანგარიშის გაწმენდის გამო დაგვიანდა გაზეთის გამოსვლა. დღეიდან ჩვენი გაზეთი ფერაძისა და კარნაუხოვის სტამბაში დაისტამბება.

✦ 17 ნოემბრიდან ქუთაისში გამოვა ყოველკვირეული სამეურნეო და საზოგადო ჟურნალი „სასოფლო გაზეთი“. ჟურნალის რედაქტორობა და მახლობელი ხელმძღვანელობა უკისრია ქუთაისის სამეურნეო შკოლის მზრუნველს პ. გ. წულიკიძეს და ამ შკოლის მართველს ალ. შარაშიძეს. სიამოვნებით მივეგებებით ამ სასარგებლო ჟურნალის გამოსვლას და ვისურვებთ ჩვენი სოფლის მეურნეთათვის სამსახური გაეწიოს.

✦ მეფუტკრემ აპ. წულაძემ ქუთ. წ. კ. გ. საზ. განყოფილების დავალებით უკვე დაასრულა მეფუტკრეობის სახალხო წიგნაკის შედგენა და განსახილველათ წარედგინა საზოგადოების წიგნების გამოცემულ სექციას.

✦ 29 ოკტომბერს, ბაქოს სატუსაღოში გაიგზავნა ტუსაღი გურგუშიანი. მას ბრალდება სხვებთან ერთად საფოშტო მატარებელზე თავდასხმა.

✦ 15 ნოემბერს საგუბერნიო სატუსაღოდან გაათავისუფლებენ ნაფიცი ვექილის თანაშემწეს გრ. გიორგაძეს. მას გაზ. ,,ფონში'' მთავრობის საწინააღმდეგო წერილის მოთავსება ბრალდებოდა, რისვისაც სამოსამართლო პალატამ ოთხი თვის ციხე გადაუწყვიტა.

✦ საგუბ. სატუსაღოში ტუსაღს სოლიბისტრო დევდარიანს განუზრახავს თავის ჩამოხრჩობა, მაგრამ მალე გაუგიათ და ის გადაურჩენიათ. დევდარიანს ოლქის სასამართლოსაგან 12 წლის კატორღა [illegible].

✦ შაბათს და კვირას ქალაქის თეატრში ზედიზედ წარმოდგენილი იქნება რიშპენის პიესა ,,სიყვარული და სამშობლო''. შინაარსი პიესისა იტალიის მე-XV საუკუნის ცხოვრებიდანაა აღებული. ამ საღამოს მთავარ როლებს შეასრულებენ ქ-ნნი ნ. ჩხეიძის და მ. მდივნის ასულნი და ბ.ბ. იმედაშვილი, არადელი, იმხნელი, გვარაძე და შარაშიძე.

✦ სავანგებო საქმეთა გამომძიებელი ბ-ნი რუსანოვი ამ ჟამათ თურმე მეოთხე სათათბიროს თფილისელი დეპუტატის სკობელევის არჩევის საქმეს იძიებს. მას ამ საქმის გამო ჩვენება ჩამოურთმევია ვ. ხატისოვისათვის და პ. არგუთინსკი-დოლგორუკოვისათვის.

ყოველკვირეულ ჟურნალ „კლდეში“ შემდეგი მეთაური წერილია დასტამბული.

წარსულმა არჩევნებმა აშკარად დაგვანახა, რაშია ჩვენი ძალა და საიდან მოელის მას საფრთხე. ციფირების წინააღმდეგ ბრძოლა შეუძლებელია. ციფირები კი შემდეგს გვეუბნებიან: ანდრონიკაშვილს მისცა ხმა 21 ამომრჩეველმა ამ ოცდაერთ ამომრჩეველზე გამოილაშქრა ოცდა სამმა ამომრჩევლმა, რომლის შემადგენლობა ასეთი იყო: ექვსი ქართველი, თუთხმეტი სომეხი და სხვ.

ამნაირათ, ქართლ-კახეთის არჩევნების ბედი გადასწყვიტა სომეხმა ამომრჩევლებმა და ახლა საქმე ის არის მიუკერძებლათ ვთქვათ, ვინ რომელი მომსახურა—ექვსმა ქართველმა ამომრჩეველმა თუთხმეტი სომეხი, თუ 15-მა სომეხმა ექვსი ქართველი. არჩევნები უმთავრესად უმრავლესობის პრინციპზე არის დამყარებული და ცხადია, სომეხმა 15-მა ამომრჩეველმა გადაყლაპა ექვსი ქართველი და ამნაირათ არჩევნები ისე დააბოლოვეს, როგორც მოითხოვდა მათი სურვილი. ეს ისეთი ფაქტია, ეს ისეთი მჭერმეტყველური საბუთია, რომ თვით ქართველ სოციალ დემოკრატიის არსებობაც კი ამიერიდან უნიადაგო და სამარცხვინო მოვლენაა. სოციალისტური პარტია, რომელიც ეროვნულ ჯგუფების წინააღმდეგ სარგებლობს, და განსაკუთრებით [illegible] ისეთი [illegible], როგორიც სოლოლაკის პლუტოკრატიაა, არამც თუ ღირსი არ არის სოციალისტობისა, იგი [illegible] მიაყენებდა თვით უკიდურეს რეაქციონურ პარტიასაც კი.

სოციალისტობა ამ 15 სომეხ ამომრჩევლისა, რასაკვირველია, ჩვენს წარმოდგენას აღემატება. სიხარულის ცრემლები ხატისოვის და არშაკ ბაბოვისა ეს უფრო ცხადად ნაქცევი ორთქლია ამ სოციალისტურ საჭამადისა, რომელსაც აწარმოებს სომხის ბურჟუაზია აქ საქართველოში და ამავე დროს სომხის პროვინციებში გაყავს უკიდურესი შოვინისტი დეპუტატები. ეს დაამტკიცა ბაქოს არჩევნებმა, სადაც, სომხის კურიაში, წინააღმდეგ მემარცხენეებისა, მათ გაიყვანეს შოვინისტი დეპუტატი. ასეთი ვითარება ჩვენ გვავალებს საქვეყნოთ აღვიაროთ, რომ ქართული სოციალ-დემოკრატიის მკვებავი არის სოლოლაკის ბურჟუაზია და ამიერიდან, ბრძოლა როგორც ერთთან, ისე მეორესთან აუცილებელი Conditio sine qua non უნდა იყოს ჩვენის მოქმედებისა.

ამ დამარცხებას შემდეგაც, ღირსება ერისა მოითხოვს უფრო ერთგული გაიდეს თავისი მისწრაფებისა და ყველას დაუმტკიცოს, რომ იდეა, რომელიც ასულდგმულებს მას, უმწიკვლოა და დაუმარცხებელი. მაგრამ იგივე ღირსება მოითხოვს ჩაუკვირდეთ იმ მოვლენას, რომლის სხვერპლიც გავხდით ჩვენ. როცა ქვეყანას არ ჰყავს ჭეშმარიტი დემოკრატია, ან, უკვე რომ ვთქვათ, როცა იგი იმდენათ სუსტია, რომ არ შეუძლია საქმის მეთაურობა; ქართველი სოციალ-დემოკრატია კი ერის უწმინდეს საუნჯეს 15 საარჩევნო ხმაში ყიდის და როცა 15 სომეხი ბურჟუა ფაქტიურ თავდასხმას ახთენს ჩვენს ეროვნულ წმინდათა-წმინდაზე, ჩვენს ეროვნულ ინტერესებზე, მაშინ ოცდა ცხრა აზნაური—ამომრჩეველი, გაწვრთნილი და დარაზმული სამი ივნისის კანონით,—ის უდრეკი ძალა უნდა იყოს, რომელზეც უნდა იმტვრიონ თავიანთი „სოციალისტური“ შუბლები 15 სომეხ ამომრჩეველმა. როცა თფილისის მაზრაში, ამ ქართველ ფეოდალთა ბუდეში ორბელიანების და სუმბათაშვილების ცვლად ისეთი „აზნაურები“ გადიან ამომრჩევლებათ, როგორიც ხატისოვია და ისეთი „ქართველები“, როგორც ჯაბადარი—ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყანა განსაცდელშია, ჩვენსავე უთაურობით, და ეს გარემოება ძალაუნებურათ ქმნის მომავლისთვის ისეთ სიტუაციას, როცა რომელიმე რეაქციონერ მემამულეს უფრო მეტი ეროვნული ღირებულება ექნება, ვიდრე „რევოლიუციონერ'' ჯაბადარს. აი, სურათი იმ მომავალი რეაქციისა, რომლისკენაც მიაქანებს ქართველ ხალხს სოციალ-დემოკრატია და აი, ის სიტყვები, რომელსაც ვამბობთ ახლა, არჩევნებს შემდეგ და რომელსაც ვიტყვით მერე, — არჩევნების წინ.

ოჯახური აღზდა ჩვენში.

ჩვენი ხალხის შეგნებულ ნაწილს გულს უმღვრევს და სულს უწამლავს ის მოვლენა, რომ ჩვენი ახალგაზრდობა ფუქსავატ ცხოვრებას ატარებს საყვედურებით მთელი ჟურნალ გაზეთები აჭრელებულია მაშინ, როცა ჩვენს ახალ-გაზრდობას მხოლოდ ერთ საქმეში მიუძღვის დანაშაული: ახალგაზრდობამ ვერ სძლია ცუდ ჩვეულებას, უსაქმობას, ბოროტებას, რომელიც ცუდი აღზდის წყალობით ძვალ-რბილში გაჯდომია. უფროსებს კი, რომელთაც მეტი დანაშაული მიუძღვისთ ამ საქმეში ხმას არ ვცემთ, თითქოს ვერ მოგვინახავს დამნაშავე. შეუძლებელია იმის უარყოფა რომ ჩვენში არავითარი ყურადღება არ აქვს მიქცეული ოჯახურ აღზდას. ბევრი დამეთანხმება, რომ ოჯახში შეძენილ სიავკარგეს იშვიათად და ძნელათ დააღწევს თავს ადამიანი.

აბა მივხედოთ ჩვენს ოჯახებს:—როგორ არის იქ დაყენებული აღზდის საქმე. გავეცნოთ მშობელ-აღმზდელებს, ავსწონდავსწონოთ მათი სულის საუნჯე.

კაცს თუ უნდა ხარაზი იქნეს, ხარაზს მიებარება ხელობის შესასწავლათ; თუ უნდა მეპურე გახდეს, მეპურესთან მივა; თუ სურს დურგალი იქნეს, შესაფერ მოხელეს მოძებნის. ამნაირათ ყოველი მოხელე პირველათ თავის ხელობას სწავლობს.

სულ სხვას ვხედავთ აღზდის საქმეში! [illegible] არა? თუ ქალი ხარ, მალე გათხოვდი; თუ ვაჟი ხარ, რაღას იგვიანებ—ცოლი შეირთე და მორჩა! აი, ჩვენი დღევანდელი მშობლების სწავლა, ცოდნა!

მშობლებმა არ იციან ბავშვის სულის ვითარება, არ გაეგებათ, რომ სულ მცირე, უბრალო მოვლენასაც დიდი და აღუ[illegible] გავლენა აქვს ბავშვის ნორჩ ბუნებაზე. დიდები მოურიდებლათ იქცევიან ბავშვებთან; აყურებიებენ ცუდ მაგალითებს თავის ცხოვრებაში: უწმაწურ, შეუფერებელ სიტყვა-პასუხს, ლანძღვას, ცემა-ტყეპას, ჩხუბს, სხვისი ნივთების თვისებას, სიხარბეს, შურს, მტრობას...

ბევრი მშობელი ამგვარ დარიგებასაც აძლევს შვილს: მტერმა არ დაგიჯაბნოს, სხვას არაფერი აპატიო; შემოგკრას ვინმემ, შენც შემოკარი და ეცადე მოერიო, ზურგზე შეჯდე, სთელო... ბევრი ფუფუნებაში ზდის შვილებს და ნებას აძლევს გარყვნილებაში ჩაიდგას ფეხი. .

ახლა ნაყოფი ამნაირი აღზდისა?

ბევრი სრულიად ჯანსაღია, მაგრამ ზარმაცი, მუშაობის უნარს მოკლებული კაცი ძველ კონკებში გამოხვეული, მთელ დღეებს ქუჩებში ადამებს მოწყალებას ითხოვს.

ბევრი სიცოცხლით სავსე ახალგაზდა, რომელსაც ცხოვრების უკეთეს პირობებში შეეძლო ყველასათვის სასარგებლო ადამიანი გამოსულიყო, უდროოთ სატუსაღოებსა და ცივ ქვეყანაში ესალმება წუთისოფელს...

ბევრი -დამიანი სახრჩობელაზე იბღალავს კაცობრიობის წმინდა სახელს...

რიგი გარყვნილებაში დგამს ფეხს, ავათ ხდება და მამაპაპასთან ემგზავრება...

რამდენი ლოთობს, სნეულდება და უდროოთ ჭია მატლების ულუფა ხდება...

ვინ დედმამას ეურჩება, სიცოცხლით ასამარებს მათ; მოხუცების დროს არ უვლის, არ აჭმევს, არ ასმევს... სცემს კიდეც...

რამდენია—ჩხუბობს, ავაზაკობს, ძმას არ ინდობს, ქვრივ-ობლებს ცარცვავს, მოყვასს მახეს უგებს, ორმოს უთხრის, და როცა ამ ორმოში ცვივიან უდანაშაულონი, იგი ხარხარობს, იცინის...

ბევრი,.. ღმერთო ჩემო, რამდენი უნდა ჩამოვთვალო!!! რაც ქვეყანაზე ბო-

შენიშვნები სამშობლო ლიტერატურაზე

,,ნისლის წიაღში''.

(ლირიკა ალექსი შანშიაშვილისა).

(შესავლის მაგიერ).

ახალგაზდა პოეტთა შორის, ალ. შანშიაშვილს, უეჭველია, პირველი ადგილი უნდა დაეთმოს.

ეს ჩემი განხილვა, რომელსაც შენიშვნების ხასიათი აქვს, აგერ ორი წელიწადია, რაც დამიწერია; სამწუხაროთ, ამ ხანათ დრო ნებას არ მაძლევს—ისეთი სერიოზული განხილვა მოვათავსო, როგორიც ნიჭიერ მგოსანს შეეფერება, ამიტომ მე ისევ ძველის გამოქვეყნება ვამჯობინე.

ეს განხილვა შეიცავს შანშიაშვილის შემოქმედების პირველ ეპოქას, როცა ახალგაზდობა ცრემლის ღვარში პოებდა წუთიერ შვებას და ამონაკვნესით უსაზღვროთ დაკოდილ გულს მალამოს სცხებდა.

თუ წინათ ყველაფერი ნათელი და გარკვეული იყო ახალთაობისათვის, დამარცხებას შემდეგ ყველაფერი ნისლმა და ბურუსმა მოიცა და ბუნდოვანათ აქცია; მგოსანიც მზეს, გარკვეულ სინათლის სიმბოლოს, სავსებით მოკლებულია და ისევ მას უხმობს.

მაგრამ წუთით გაშუქებული მიდამო სამშობლო მხარისა გულის ამღვრევ და საზარელ სურათს გამოხატავს: ,,ვაი სასახლეს, რჩეულ მეფეთ დამკვიდრებულსა!

დღეს საპყრობილეს ნესტიანსა, ჩაბნელებულსა!

. . . .

ვაი მიდამოს სისხლით მორწყულს წინაპართაგან
მკვიდრნი განდევნეს, მოაშორეს უკვე თვალთაგან
დღეს მის კალთაზე აგრე ლაღათ ვინ დანავარდობს?
რომელი უცხო საიდუმლოს თავისას ანდობს
ერო, სტიროდე შენს სამოთხეს აგრე დაკარგულს
ერო, სტიროდე ხეს ცნობისას სხვაგან გადარგულს''...

ამგვარი უნუგეშო სურათის მნახველე და ამავე დროს მარტოთ მარტო მიტოვებული, როცა ირგვლივ არავინა სჩანს, რომ მგოსანმა მას თვისი ვარამი გაანდოს,—ისევ იძულებულია გაექცეს მზის სინათლეს, თვალები დახუჭოს და ,,ნისლის წიაღში'' დარჩეს, რომ წუთით მაინც მოეშვას ნაწამებ გულსა: ,,შავი დღის ნახვით სულმა ჩემმა როგორ იხაროს?
დეე დაბნელდეს, გლოვის ძაძა გადაიფაროს''...

პოეზია შეუმცნებელი, ინტუიტიური სწრაფვაა მშვენიერებისადმი. სრულ, აბსოლუტურ განხორციელებას ამ მშვენიერებისას მგოსანი, ანუ, საზოგადოთ ხელოვანი, აღწევს ორივე მხარის მშვენიერების აწერით (ფორმისა და შინაარსის) და—მის უკანასკნელ პროცესში—თვით ამ მშვენიერებათა ორგვარის დასაწყისის ერთად შეხმატკბილებით. აი, ეს არის სინტეზი დასრულებული, უკვდავი მსოფლიო შემოქმედებისა, რომელსაც მიაწიეს: ჰომეროსმა, მიქ. ანჯელომ, დანტემ, გეტემ, შოთა რუსთაველმა და სხვ.

მაგრამ ეს პირები ხომ ტიტანები არიან, გოლიათები და ჩვენ არა გვაქვს უფლება ყველასაგან იგივე მოვითხოვოთ, რადგან მაშიი ყოველი ადამიანი, ხელოვანი ნიცშე იქნებოდა თავისი უმაღლესი პოეტურის და მხატვრულის ფორმებით და აზრის შეუდარებელის სიღრმით. შანშიაშვილი ასეთ პირებზე მეტათ დაშორებულია; მაგრამ მას, ვით მგოსანს, სწყურია ეზიაროს მშვენიერებას. თავის შემოქმედების პირველ ნახევარში ეს ტენდენცია გამოიხატა ორიგინალურ და ლამაზ ფორმებში, რომლებშიც მგოსანი აქანდაკებდა საკუთარ ვარამსა და სევდას, ეს ფერადი ბრჭყვიალი იყო სპეტაკის და ყრმული წმინდა ცრემლისა, მაგრამ აქ მაინც სუსტათ გამოსჭვიოდა ტენდენცია სრულ მშვენიერებისადმი მისწრაფებისა; უკანასკნელისათვის საჭირო იყო მთლიანობა, ჰარმონიული სირთულე, მრავალთა გამოხმაურება ერთში, მაგრამ თანამედროვე სამშობლო ვერ აძლევდა მგოსანს ასეთ მასალას, რომ მას შეძლებოდა საქართველოს ხინტენტიური სახე დასრულებულათ აღებეჭდა. აქ მან სრული უმწეობა განიცადა, მაგრამ იმედი მაინც არ დაკარგა და კვალათ მხნეთ შეუდგა ამ მთლიანობის ძიებას, რომელიც მშვენიერების პრინციპათ უნდა გაეხადა... და პოეტმაც პოვა ამგვარი სახე და გრძნობით ამეტყველა თავისი ქნარი. ეს გზა ახალი არ არის, მაგრამ იგი მაინც მუდმივი და დაუშრეტელი წყარო იქნება ხელოვნებისა.

ბოლო ხანებში, შანშიაშვილის შემოქმედების მეორე ეპოქაში, ჩვენ ვხედავთ, რომ მან პირი იბრუნა ელინიზმისაკენ და სწორეთ ამ ელინურ, მთლიან, დამთავრებულ მშვენიერების აწერაში პოეტი ინტუიტიურათ ესწრაფვის ნამდვილ შემოქმედებისაკენ. თვითონ აწერა მშვენიერებისა და სილამაზისა, თითქოს ორგანიულათ განუცდია მგოსანს. აქ ბუნებრივი ხთება უკიდურესი სინაზისაგან და სათნო, ღვთაებრივი სიყვარულისაგან,—რომელიც გამოწვეულია მისი ხილვით—გიჟურ, უტეხ და ძლევამოსილ ვნებაზე გადასვლა,—რომელიც გამოიწვია მისმა შეხებამ.

მიუხედავათ იმისა, რომ მშვენიერების ობიექტი თავის სახეს იცვლის და ხან მტირალია და ხან მოცინარი, მგოსანი მაინც დაბნეულ მშვენიერებას ხედავს მასში; და ეს მშვენიერება ,,ივერიის აფროდიტეში'' ერთ თაიგულათ შეკრულ სილამაზეს წარმოადგენს. ასე გადადის მგოსანი ნაწილებიდან ერთეულზე და მთლიან მშვენიერების სიმბოლოს ქმნის...

,,ლურჯნი თვალნი ნელმხურვალნი,
შეუბრალნი გრძნობით მთვრალნი;
ხან ელვასებრ მაწრაფლ მავალნი,
ხან მობინდვით მოცინარნი:
მე მინახავს მომზირალნი,
მე მინახავს მომტირალნი,
შვენივრობენ დღენიადაგ,
მშვენივრობენ ლურჯნი თვალნი!

თვალის სიმშვენიერის აღწერას მოსდევს, წმინდა, მოელვარე სახის სილამაზის აწერა; შემდეგ:

,,თმის ნაწნავი ოდნავ შავი
თვით ბრწყინავი, ვით ვარსკვლავი,
ხან გაშლილი შიშველ მკერდზე,
ხან ვით ტალღა სანახავი... და სხვ.
ყელზე მძივი, ვითა სხივი
ნათელ ქვისა ბევრ-ასისა,
ყელს საყურე საოცნებო
მოციალე ალმასისა,
იაგუნდის კვლავ გვირგვინი
და სარტყელი ძვირფასისა''...

შემდეგ პოეტი იხილავს ტანს, რომელსაც ორი კალმის მოსმით მშვენივრათ გამოაქანდაკებს და ერთს წუთს თქვენს წინ დადგება ელინური სილამაზე, ცივ მარმარილოში მეტყველ მშვენიერებათ ნაქანდაკევი; აქ შიშველი ტანის ხილვით მოგვრილი ჟრუანტელი გვილისთ და თანდათან გრძნობის ძალა, რომელიც ვნებაში მხილდება, თავსა იჩენს: ,,მე მინახავს მობანავე,

ვით მთონა მაღალ ცისა,
დამიხთია ტანთ საცმელი
ოქრო მკერდის მარმაშისა,
ხან ცელქია, ხან მორჩილი
დედოფალი ქალთ დასისა.
ტანი კოხტა და მოსული,
ვით მნათობი ამოსული,
წელი წვრილი, ოდნავ ხრილი,
მკერდზე ძუძუ ამოსული,
ვით ყვავილთან, მის გარშემოც
დაიკმევის ამო სუნი.
სიცოცხლით და ვნებით სავსე,
უნაკლულოთ, ყოვლით სრული.
რამდენსთაც გარეთ ბრწყინავს,
აგრევ ბრწყინავს სატრფოს სული''. და სხვ.

აქ აშკარათ ამჩნევთ, რომ თქვენს წინაშე პოეტმა ზრუნვით, დინჯათ გამოაქანდაკა ცოცხალი სიმბოლო მშვენიერებისა; და მგოსანი, ექსტაზით შეპყრობილი, ამ მთლიან მშვენივრობის აღდგენას ისე სჩადის, ვით სარწმუნოებით პყრობილი ფანატიკოსი, რომელსაც სწამს ღვთაებრიობა მასში დაბუდებულ რწმენისა; აქ მგოსანი ღვდელმოქმედებს!.. მაგრამ პლასტიური მშვენიერება—,,ივერიის აფროდიტე'' მალე დაირხევა და მის მკერდზე აკოკრებული ძუძუები, ნელა თრთოლას და წყებს და ვნების ძლიერ ბინდს მოფენს.. აქ პოეტი ვნების სიძლიერეში გადაგვიყვანს, მაგრამ თვით ამ ვნების აღწერაც მასში დღევანდელ სადიზმ-მაზოხიზმისებური არაა, იგი დეკადენტებისა და მოდერნისტების, დამახინჯებულ ვნებას არ სახავს; იგი საღია და დამთავრებული და ამ სისაღეში თავისებური, ელინური მშვენიერება ნათლათ ჩანს... აქ თქვენ ხედავთ შეუდარებელ სიძლიერეს და ერთგვარ სიკიჟეს ვნებისას, რომლის საიდუმლოება მუდამ აუხსნელი დარჩება:

,,დემეტიკა მკერდ გაშლილი
ჭაბუკს თრთოლვით დაეკონა,
მოეხვია, გველის მზგავსათ;
დაუკოცნა ვარდის კონა
თმა-გიშერი შემოაქდო
ვნებას სრულათ დაემონა''...

აქ თვით შედარებაშიც კი ჩანს ელინური პოეზიის გავლენა, რომელიც შოთამ გადმოიტანა ჩვენში... ასეთია შეუპოვარი ლაღი და თავისუფალი შედარება, როცა საგანი, რომელსაც ადარებთ, სავსებით იჭერს პირველის ადგილს და მას იტევს. ,,დაუკოცნა ვარდის კონა'' ე. ი. ტუჩები, მზგავსი ვარდის კონისა, ანუ ,,თმაგიშერი შემოაქდო'' ე. ი. ,,შემოაქდო თმა მზგავსი გიშრისა'' შოთასაც ხომ ხშირათ აქვს ნახმარი ასეთი ფიგურალური გამოთქმა. ,,არცა გახლიჩა ბაგენი თვისი ვარდისა კონაძან''...

დემეტიკას ტანი ვნებით ირხევა ფრიქსის წინაშე (იხ. კოლხეთის საუნჯე'' განზ. ,,კოლხიდაში'') და მას გიჟურ ვნების ქსელში აბამს.

ძლიერია პოეტი მშვენიერების აღწერაში და მის მიერ ატეხილ ღელვის გადმოცემაში; აქ სავსებით გაიფურჩქნა მგოსნის ნიჭი და იგიც მშვენიერის ენით ამეტყველდა. ამ ელინურ მშვენიერების გამოსახატავათ მან შესაფერი ლექსთაწყობაც აიღო, იგია ჰეკზამეტრი, რომლითაც უკვდავ შოთას ,,ვეფხის ტყაოსანი'' უწერია. მაგრამ ამ მეორე, უმთავრეს ხანაზე მკითხველს ვეცნები შემდეგ მოველაპარაკო, ხოლო მანამდი კი იმ წერილს გავაცნობ, რომელიც მგოსნის პირველ ეპოქას შეეხება.

აკაკი პაპავა.

(შემდეგი იქნება).

1912 N 32

როტება ხდება, ყველა აღზრდის საქმის ცუდათ დაყენების ბრალია!

რუსეთში უკვე შეიგნეს, რომ ოჯახური აღზრდის საქმე ცუდათ არის დაყენებული და ამა წლის 30 დეკემბრიდან 6 იანვრამდი დანიშნულია სრულიად რუსეთის წარმომადგენელი აღზრდის საქმის მოსაწესრიგებლათ პირველი კრება.

ვნახოთ, ჩვენც, ქართველები რა ხალისს გამოვიჩენთ, როგორ შევხვდებით იმ კრებას; აბა, რამდენათ ვართ დაინტერესებული მომავალი თაობის ბედით...

ნუ დაგვავიწყდება, რომ აღზრდის საქმე (ნამეტნავათ ოჯახური აღზრდისა) ძლიერ ცუდათ არის დაყენებული ჩვენში...

გერასიმე,

გაძარცული ტაძარი.

სალი ქვისაგან გამოკვეთილ მთის მწვერვალზე უძველესი დროიდან შავი წერტილის ოდნათ დიდებული, მაგრამ დღეს კაცთათაგან მიუვალი და მიუწდომელი ტაძარი მოჩანდა ვინ, ან როგორ გააშენა ეს ტაძარი, არვინ უწყოდა.

მხოლოდ ზეპირი გადმოცემა ღაღადებდა, რომ ამ მთის მწვერვალზე ოდესღაც ერთი ასასვლელი ბილიკი იყო, ბილიკი, რომელიც ბეწვის ხიდს უფრო გავდა.

როდესაც ქვეყანას ღვთის რისხვა მოევლინებოდა და რაიმე განსაცთელში ჩავარდებოდა, ხალხი გამოძებნიდა უწმინდესსა და ყველაზე მადლიან მოხუცს; მოხუცი ლოცვასა და მარხულობას შემდეგ, შეუყვებოდა საბედისწერო ბილიკს და, უკვე თუ უზენაესი წმინდა ტაძრის ხილვის ღირსად გახთიდა, მთის მწვერვალს მიაღწევდა...

წმინდა ტაძრის კარი მუდამ ღია იყო, უზენაესის ბძანებით ყოველი სამკაული ამ ტაძრის დაცული იყო ხტიქიონის ძალთა გავლენისა და ჟამთავითარებისაგან.

უზენაესის ბძანებით აქ მთელი საუკუნოების განმავლობაში გაუქრობლათ ანთებდა კანდელი.

იხილავდა თუ არა ტაძრის კარებს, ღირსეული მოხუცი მუხლ მოდრეკილი, მხურვალე ლოცვით ხელებს ზეცას აღაპყრობდა. ლიტანიით შევიდოდი წმინდა ტაძარში, გაჩერდებოდა საკურთხეველის წინ და მდუღარე ცრემლების ფრქვევით შესთხოვდა ყოვლის მფლობელს სამშობლო ქვეყნის განსაცთელისაგან ხსნას..

დღეს ამ ბილიკის არაფერი დარჩენილიყო.

არვინ უწყოდა, თუ რა მოუვიდა რამ იღმოფხრა ბილიკი სალი კლდისაგან.

ცხადი იყო, რომ ამ წმინდა ტაძრის სახელს ხალხი დღესაც დიდის სასოებით და მორიდებით წარმოთქვამდა. ხალხი დღეს ტაძარს გაცილებით მეტ სასწაულმოქმედებას აწერდა. მათი ფიქრით ბილიკის წაშლა და წმინდა ტაძრის მიუწდომლობა იმიტომ მოხთა, რომ ხალხი დაცოდვილიანდა და აღარავინ დარჩა ღირსი წმინდა ტაძრის ხილვისა და ამიტომ უზენაესის ბძანებით ბილიკიც წაიშალაო.

ხოლო ხალხი მაინც კიდევ ღრმათ დარწმუნებული იყო, რომ თუ ვინმე წმინდა ტაძრის ხილვის ღირსი მოევლინებოდა, იყი უზენაესის ბძანებით თვით გამოკვეთდა ბილიკს სულ კლდეში წმინდასა მას ტაძარს მიაღწევდა.

ვინ უწყის, რამდენი ღირსეულ მოხუცს არ უცთია საბედისწერო ბილიკის გაკვეთა, მაგრამ მთელი წლობით გამუდმებულ მუშაობას შემდეგ სალ კლდეზე მხოლოდ უმნიშვნელო კვალი თუ დაუჩნევია.

ერთხელ, როდესაც საშობლო ქვეყანა დიდ განსაცთელში ჩავარდა, ხალხმა კვლავ გამონახა ერთი წმინდა მოხუცი, რომელიც ბილიკის გაკვეთას შეუდგა. დიდი ლოცვა ვედრებით განაგძობდა წმინდა მუშაობას და, რაც დრო გადიოდა უფრო უახლოვდებოდა წმინდა ტაძარს.

უკანასკნელი ძალა მოიკრიბა, ბილიკის უკანასკნელი ნაბიჯი გაკვეთა....

მოკრძალებით მოიდრიკა მუხლი, ზეცად ხელები აღაპყრო, ბაგე გახსნა და ის იყო, ლოცვა უნდა წარმოეთქვა, რომ... ეჰა, საკვირველებავ!... სადღა იყო ის დიდებული ტაძარი! სადღა იყო ძვირფასი სამკაულები; აღარ ენთო კანდელი!...

მხოლოდ სურო შემოხვეული, გაძარცული ტაძრის ნაშთიღა იდგა მის წინ...

ცრემლი მდუღარე ნაკადულათ წამოსკდა მოხუცს და ღაღადყო: ,,ყოვლის შემძლეო! რა იქნა იგი სათაყვანებელი ტაძარი ჩვენი. . ვინ მოსპო დიდება იმისი, ვინ ჩააქრო კანდელი.. მაქვი, უფალო, რა ამბავი ჩაუტანო ხალხს, იმ ხალხს, რომელიც ძირს მელოდე....

მოხუცმა ლოცვა ვედარ დაასრულა, გული დაუღონდა, თვალთ დაუღამდა და სალ კლდეზე პირქვე უსულოთ დაემხო.

მამათელი.

ილიას საღამო ბათომში.

27 ოკტომბერს, ბათომის კლუბის დარბაზში წერაკითხვის ადგილობრივ განყოფილების თაოსნობით გაიმართა საღამო ილიას დაბად ბიდან 75 წლის შესრულების აღსანიშნავათ. როგორც მოსალოდნელი იყო, საზოგადოება საღამოს საკმაოთ დაესწრო. აიხადა ფარდა და მოისმა მწყობრი სიმღერა „ტყემ მოისხა ფოთოლი“. სიმღერას მოყვა ბ-ნ ქავთარაძის მოკლე რეფერატი ილია ჭავჭავაძის მნიშვნელობა მოღვაწეობის შესახებ. შემდეგ დაიწყეს მათ ილიას ლექსების კითხვა. წაიკითხეს ბ-ნ ბარველმა ილიასადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსი და ქ-ნ ანდრონიკაშვილმა ადგილი ,,გლახის ნაამბობიდან'', სადაც პოეტი ღრმა სიყვარულს და ჰუმანიურ გრძნობას იჩენს საზოგადოთ ცხოველებისადმი. ბ-ნ შ. დადიანმა წაიკითხა ,,მგზავრის წერილებიდან'' ნაწყვეტი, სადაც პოეტი წამტაცათ აგვიწერეს ყოველივე შთაბეჭდილებას; ამით დასრულდა საღამოს პირველი ნაწილი. მეორე ნაწილში ითამაშეს სცენა ,,კაცია ადამიანი?'', მშვენიერათ ჩაატარა თათქარიძის როლი ბ-ნი ყალაბეგიშვილმა.

ქ-ნნი ანდრონიკაშვილი და ბენიშვილი კარგათ ასრულებდენ პირველი რძლისა და მეორე დარეჯანის როლს. მესამე ნაწილში დადგეს ილიას გმირთ. ცოცხალი სურათი. თუმცა პროგრამა მრავალ მხრივ რთული იყო, მაგრამ მაინც აკლდა ის, რასაც საზოგადოება უეჭველათ გამოელოდა ამ საღამოდან- ვერ იყოა დამაკმაყოფილებელი ლექსების კითხვა; ბ-ნ ქავთარაძის რეფერატიც მკრთალი გამოდგა; უმჯობესი იქნებოდა, რომ მას მწერლის ბიოგრაფიასთან ერთად აელო მისი მოღვაწეობა—შემოქმედების რომელიმე სპეციალური მხარე, თვარა ასეთ მოკლე რეფერატში ილიას მრავალ მხრივი რთული მოღვაწეობის და მისი ენციკლოპედიური ნიჭის დაფასება გარდა იმისა, რომ შეუძლებელია, ერთგვარ უმადურობას შეიცავს იმ ადამიანისთვის, რომელიც სამართლიანათ ითვლება ჩვენი პუბლიცისტიკა-ისტორიასა და მხატვრულ ლიტერატურაში. duo.

ფიჭვ-ნაძვნარი.

როცა ჩქერი მზის ქინძისთავს ყვავილების მოლოში ასობს
და ბურუსში განბანილი როს მოჰქრის და მოკისკისობს,—
აი, მაშინ ჰანგს უსიტყვოს მღერის, მღერის ჩანჩქრის სიმი
და მიდამოს ცეცხლს აკვესებს, ცეცხლი, ჰანგით დანაწკიმი!

როცა მიწა ცას ჰანგს უსვრის, ჰანგს, გულიდან ამონაჭერს,
როს შეფოთლილ ფიჭვ-ნაძვნარებს მზე გაბანს და სხივს დააჭერს,—
აი, მაშინ აქ სდგას სუნი, ისე ნაზი, ისე ტკბილი,
ვითა ტაძრის სამსხვერპლოზე საკმეველი დაორთქლილი!..

მე ამ ქვეყნის სილამაზე რა ვნახე და რა ვიგრძენი,—
მთლად მოვკეთდი, განვიკურნე, გავგიჟდი და გარდვიქენი!..
მხოლოდ გული იმასა სწუხს, მხოლოდ გული მიტომ კვდება,
რომ სნეული ივერია, ვინ უწყს, როდის განახლდება!..

აბასთუმანი. ი. გრიშაშვილი.

ომი ბალკანეთზე.

დეპეში.

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტო)

ბელგრადი. პრილეპის ბრძოლაში სერბიელებმა 3000 ჯარის კაცი და ოსმალებმა 8000 დაკარგეს. კიევთან ფაშატეტოვმა წინააღმდეგობა გაუწია. არნაუტების ცნობილმა წინამძღოლმა მეხმედმა შეკრიბა არნაუტის მცხოვრებნი შამიიერთა უსკიუბის გადარჩენილი ჯარი და კიჩევის დაცვა გადაწყვიტა, და მიუხედავათ მიტროპოლიტის და მცხოვრებლების თხოვნისა „ქალაქი უხისხლოთ დაუთმეს.“ სერბიის მხრით არტილერიის ორი პოლკი იბძოდა. სამი დღის ვანმავლობაში ორივე მხარე გაცხარებულათ იბრძოდა, სერბიის ჯარმა იერიში მიიტანა ოსმალებზე და ეააქცია. სერბიის ჯარი ქალაქში დიდი ზეიმით შევიდა, რომელსაც მცხოვრებნი სიხარულით შეხვდენ. სერბიელებმა წაართვეს 8000 თოფი და მრავალი პატრონა. სერბიელებს 300 მოუკლეს —ოსმალებს 1200.

სოფია. სერესიდან შემდეგი დეპეში მიიღეს; ოსმალებს საკმაო ძალებით აივატოვოს და ილოს სიმაღლეები ეჭირათ 27 ოკტომბერს 3 საათის ბრძოლას შემდეგ ოსმალებმა სალონიკისკენ დაიხიეს, და უკან ბულგარლები მიზდევდენ. ამ დროს ბერძნების ჯარის უფროსიდან ცნობა მოუვიდათ სალონიკი ბერძნები დანებდაო. ოსმალეთის ჯარისთვის იარაღი ჯერ კიდევ არ ჩამოურთმევიათ; თედოროვმა ჯარს უბძანა ოსმალებზე მიდითო, მაგრამ შენიშნა რა, რომ ოსმალები უსროლავათ უკან იხევდენ, მტრის დადევნება შეწყვიტა და სალონიკისკენ წავიდა. მეფის შვილები ბორის და კირილე ბრძოლას მაღლობიდან დაყურებდენ და მათ აღტაცებას საზღვარი არ ქონდა.

კელნი. „კელნიშეცაიტუნგ“ი იუწყება ბერლინიდან: ბალკანეთის კრიზისი მშვიდობიან ფარგლებში ჩადგა, რადგან ავსტრია—უნგრეთმა სერბიას თავისი სურვილების ნამდვილი გამოხატულება შეატყობია. ეხლა უნდა უცადოთ მათ ასრულებას სამთა კავშირს ეხლა ბალკანეთის საკითხებში აქტიური ნიადაგი აღარ უკავია

სტამბოლი. მოლაპარაკება ოსმალეთს და ბალკანეთის სამეფოებს შორის პელიმინარულ ფაზზე იმყოფება. ოსმალეთი ბულგარეთს პასუხს თხოვს. ელიან დროებით მშვიდოპიანობის დ მყარებას. პორტას იმედი აქვს ეს შერიგება ჩატალჯის ბრძოლამდი მოხთება, თუმცა ბულგარლებმა მასზე ბრძოლა უკვე დაიწყეს.

ბელგრადი. კერძოთ ხმებია, სერბიის მოწინავე რაზმები ადრიატიის ზღვაში გავიდენო. ხმები ნაადრევია, რადგან ჯარს თუ სხვა წინააღმდეგობა არ შეხვდა, მათი მოძრაობა დიდი თოვლის გამო მაინც შეუძლებელი გახდებოდაო.

ვენა. „ირბეცაიტუნგ“-მა წერილები მოათავსა იმის დასამტკიცებლათ, რომ ავსტრიას ალბანეთში არავითარი ინტერესი არა აქვსო. გაზეთი აქარწყლებს ყველა იმ ცრუ ხმას, რომლის მთავარ საწყობათ მას მიაჩნია ბერლინის გაზეთი „ფოსიშეცეიტუნგ[illegible]

სოფია. გაზ. „მი[illegible] უარს ყოფს უცხოელი გაზეთების ხმებს, თითქოს ბულგარეთსა და რუმინეთს შორის მოლაპარაკება გაიმართა [illegible] რუმინიამ ბულგარეთს თავისი ტერიტორიის ერთი ნაჭერი ჩაუტოვა კომპენსაციათო.

ათინა. ამერიკი[illegible] პორტას 1500 თავისუფალი ჯარი[illegible] მივიდა.

სალონიკში. 300 ჟანდარი გაიგზავნა პოლიციის სამსახურის შესასრულებლათ. იქით წავიდა აგრეთვე სამოქალაქო მთავრობაც.

ხადემკიოი. დახვრი[illegible] მრავალი ჯარის კაცი, რომლებმაც ჯარში დაბრუნებაზე უარი განაცხადეს.

რომი. საზოგადო აზრი და პრესა დიდ ყურადღებას აქცევს ავტორი—სერბიის კონფლიქტს. რომის „მესაჯერო“ დარწმუნებულია, რომ თუ გერმანიამ და იტალიამ ასე ბრმათ მისდიეს უკან ავსტრიას, აუცილებლათ ორ სამთა კომბინაციის შეტაკება მოხთება. მთელი ავსტრიის პოლიტიკა ეგოიზმიდან არის ქსოვილი. იტალიის მშვიდობა უნდა და სამართლიანათაც მიაჩნია საბერძნეთს იანინის ვილაიეტი მიეცეს, შავგორეთს სკუტარის ვილაიეტი და სერბიას ადრიატიის ზღვაში გასვლის უფლებაო.

სტამბოლი. მთავარმართებლის დეპეშის გამო სამხედრო საბჭომ განიხილა ის მოსაზრება, რომ შეუძლია თუ არა სტამბოლის დამცველ ჯარს ქალაქის დაცვა და სცნო, რომ ძალიან ცოტა გვაქვსო.

სოფია. ბულგარეთის სააგენტო უარყოფს გაზეთების მიერ გავრცელებულ ხმებს, თითქოს ფერდინანდი სტამბოლში შესვლისათანავე თავს იმპერატორათ გამოაცხადებსო.

ლვოვი. უკრაინელმა სტუდენტებმა პროტესტი გააცხადეს რუსეთის უკრაინელთა საქმის მდგომარეობის წინააღმდეგ და აგრეთვე იმაზე, რომ კიევში უკრაინელი გაზეთი დახურეს.

დეპეში.

(პეტ. დეპ. სააგენტო).

საზღვარგარეთი.

ტულონი. კრეისერი ,,ჟულენდოლაგრავიერ“-ი კუნძულ სირასკენ წავიდა.

იოკაგამა. იმპერატორმა გაშინჯა ფლოტი, რომელიც 100–ზე მეტ სამხედრო გემისგან შესდგებოდა.

მუკდენი. რუსეთ-მონგოლეთის შეთანხმებამ ძლიერი მღელვარება გამოიწვია. პრესა შეთანხმებას ისე უყურებს, როგორც რუსეთის აქტივობის განახლებას შორეულ აღმოსავლეთში. რუსეთს ბრალს დებენ ჩინეთის ორათ გაყოფაში და მთავრობას მოუწოდებენ რუსეთს უპასუხონ. ხალხში სამხედრო ექსპედიციის გაგზავნით; ამ საშუალებით ნაცია შესძლებს ჩინეთის ტერიტორიალური ხელშეუხლებლობა.

პეკინი. რუსეთ-მონგოლეთის შეთანხმების გამო მთელი პრესა მთავრობას მკაცრათ სჯის, რომლის უსაქმობამ მონგოლეთი დააკარგვინათ. გაზეთები მოუწოდებენ მცხოვრებლებს მონგოლებთან საბრძოლავათ ჯარები შეკრიბოთო. მოითხოვენ აგრეთვე, რომ რუსეთს წინააღმდეგობა გაუწიონ, თუნდა ომიც დაგვჭირდესო საერო კრებამ მთავრობას შეეკითხა რუსეთ-მონგოლეთის შეთანხმებაზე.

ბრიუსელი. დეპუტატთა პალატაში მინისტრთა პრეზიდენტმა მთავრობის წესდება წაიკითხა, რომელიც ისეთ რეფორმებს მოითხოვს, რომლებიც მოხუცებულებს უზრუნველყოფს.

სტოკჰოლმი. სამეფო მეცნიერებათა აკადემიამ მიუსაჯა შვეციის ინჟინერს პუსტავ დალენს ნოელის ფიზიკის პრემია. პრემია ნანსის უნივერსიტეტის პროფესორ გრინიარსა და ტულუზის უნივ. პროფესორის საბატიეს შორის გაანაწილეს, თითო პრემია 193000 ფრანკია.

ვენა. პალატა პროტესტს აცხადებს, რომ გერმანელების სისხლი დაიღვაროსო ავსტრიის შემცთარ პოლიტიკის გამო, იმ დროს, როდესაც ავსტრიის სლავიანები აშკარათ თანაუგრძნობენ ბალკანეთის სლავიანებსო. პალატის პრეზიდენტმა უნდა მიმართოს უმაღლეს მთავრობას თხოვნით, რომ მშვიდობიანების დაცვა მოახერხა. ჩეხელმა რადიკალმა კლოფაჩმა განაცხადა, მცხოვრებლებს განურჩევლათ ნაციის, ომი არ უნდათო. მას ადგილიდან ქრისტიანმა იერზაბეკმა შენიშვნა მისცა—ასე რომ იყოს სერბია პირველი ხელს აიღებდა ბრძოლაზეო. კლოფაჩი განაგრძობს:—ჩეხების სურვილია ბალკანეთის ხალხი ერთმანეთს შორის ძმურათ ცხოვრობდეს. ვინც თხოულობს ავტონომიას ალბანეთისათვის ამით ის მშვიდობიანობის დარღვევას ხელს უწყობსო. სლავიანები თხოულობენ რომ მათი სურვილი მხედველობაში მიიღონ, გაათავა სიტყვა ამით კლოფაჩმა...

სოფია სხვა სახელმწიფოებიდან მოსულ სანიტარულ რაზმებს დიდის ამბით ხვდებიან. რუმინიის სანიტარული რაზმი ძველ ზაგორაში დარჩა, ინგლისის კი კირკილისში წავიდა. ბერლინის ბანკმა 10000 მარკა შესწირა სანიტარულ რაზმს.

ქაირო. პოლიტიკურ წრეებში ხმა გავრცელდა ინგლისი ომის გათავების შემდეგ ეგვიპტის შესახებ ოსმალეთის სუვერენიტეტის შეცვლას მოითხოვსო.

დარმშტადი. გერმანელ სტუდენტ ბაროს რუს სტუდენტებთან ჩხუბი მოუვიდა ჩხუბის დროს ერთმანეთს ხელიც შეახეს. ამის შემდეგ გერმანელ სტუდენტებმა რუს სტდენტებს ქუჩაში თავს დაესხენ. რუსმა ვეიზერმა რევოლვერით დასჭრა გერმანელი. ბოლოს ის ხანჯლით მოკლეს გერმანელებმა. გერმნელი სტუდენტები დაატყვევეს.

რუსეთი.

ტაგანროგი. ნახშირის მაღაროში მარკოვის სადგურზე ცეცხლი გაჩნდა. გამოიწვიეს გოლუბის ცეცხლის მქრობელი რაზმი.

პოლტავა. შავგორეთის წითელი ჯვრისთვის 500 მანეთი შეკრიბეს.

სოხუმი „რუსეთი“-ს საზოგადოების ორი გემი ერთმანეთს დაეჯახა; ზარალი დიდია.

პეტერბურგი. გაზეთ „კოლოკოლი“-ს რედაქტორი, ბოგოლიბოვის ცილის დაწამებისათვის ორი თვით ციხეში ჩასვეს. უკანასკნელ დროს ბალკანეთის შესახებ გავრცელებულ ხმების შესახებ, გაზეთი „როსია“ ამბობს: ამ ცრუ ხმებს პეტერბურგის მეჭორეების ხასიათი აქვს, პეტერბურგის სხვადასხვა გამომცემლობა ომს სენსაციის საგნათ აქცევსო.

ტულა. მოსკოვის სამოსამართლო პალატამ გაარჩია ტოლსტოის მცნების მიმდევრის შმიდტისა და სხვების საქმე, რომლებსაც სამოქალაქო წესით მიცვალებულთა დაკრძალვა ბრალდებოდათ, დამნაშავეებს პალატამ თითო თვის ციხე გადაუწყვიტა.

ტფილისის ქალაქის გამგეობის საყურადღებოთ.

30 ოკტომბერს ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში მიველი რუსული სექციის წარმოდგენაზე იმ ბილეთით, რომელიც ქალაქის გამგეობისაგან გვაქვს მოცემული. კარებში მდგომმა დაუყოვნებლივ შემიშვა, მეც მოვძებნე ჩემი ადგილი (№ 49) და დავჯექი. სწორეთ ფარდის ახდის დროს მოვიდა ვიღაც მანდილოსანი და მაჩვენა ბილეთი № 49. ცხადია ჩვენი ადგილი გაყიდული ყოფილა. ამას შემდეგ პატიოსნათ გამომაბძანეს თეატრიდან.

მე ხელში მეჭირა ქალაქის გამგეობის მიერ მოცემული ბილეთი, რომელიც ნებას მაძლევს ყველა სექციის ყველა სახალხო წარმოდგენას დავესწრო. მიუხედავათ ამისა, არ ვიცი რა მოსაზრებით, ეს უფლება შემვიზღუდეს და შეურაცხყოფა მომაყენეს მით, რომ ჯერ შემიშვეს თეატრში და მერე კი ისევ გამომიყვანეს. რადგანაც ერთის მხრით, ასეთი თავხედური ქცევა პირველი არის სახალხო სახლის სექციის ხელმძღვანელების მხრით და მეორეს მხრით, არც ჩვენ გვსურს, ვისარგებლოთ უფლებით, რომელიც ყოველ გამვლელ-გამომვლელს შეუძლია შეზღუდოს; რადგანაც არავითარი სურვილი არა გვაქვს კვლავ განვიცადოთ უსიამოვნება და შეურაცხყოფა, განსაკუთრებით ისეთი პირისაგან, რომელსაც, როგორც ეტყობა, ძალიან ნაკლები წარმოდგენა ქონია იმაზე, თუ რანაირი დამოკიდებულება უნდა არსებობდეს სახალხო სახლის მოღვაწეთა და პრესის წარმომადგენელთა შორის, —უკან ვუბრუნებ ქალაქის გამგეობას ბილეთს, რომელიც ამ ჟამათ სახალხო სახლის გამგესთან ბ-ნ ჩუბინაშვილთან არის.

,,სახალხ. გაზეთ''-ის რედაქციის გამგე: არ. ჯაჯანაშვილი.

ომის ამბავი.

გაზეთებიდან.

„რუსკოე სლოვოს“ კორესპონდენტს გაუგია, რომ იტალიას და გერმანიას გადაწყვეტილი ქონია ავსტრიას დაეხმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭურჭლეულობის და ავეჯეულობის მაღაზია ქ. ქუთაისში ფ. ს. ფილიპოვისა

ყოველთვის მოიპოვება დიდ-ძალი რჩეული: ფაიფურისა და ფაიანისა ჭურჭელი; საუცხოო ბროლისა და მინის საქონელი, საუკეთესო ლამპები ვარშავიდან და საზღვარგარეთიდან, [illegible] გამოვლებული ჭურჭლეული თეთრი ალიუმინის, ალპაკა და ვსილენძის ქვაბები, ყავაუნები, სარძევეები და სხვა სამზარეულო ჭურჭელი. სამოვრები, ნავთის სამზარეულოები და ყოველივე [illegible] ნივთ-ჭურჭლეული და ბრინჯაოთი ნაკეთები საქონელი. ვენური მოხრილი სუფრის ყოველგვარი და ბამბუკის ავეჯეულობა, ვარშავისა და ინგლისის ქარხნებიდან ლოგინები. ძელლის და საპირფარეშო სარკეები, სასუფრე კლიონკები და იატაკზე საფენი ლინოლეუმი, საზღვარგარეთისა და რუსეთის გიტარები, მანდოლინები, ბალალაიკები, პატე—გრამაფონები და მათი ფირფიტები, პიანინოები და ყოველგვარი საარღნო შემკობილება. ელექტრონული ლამპები და ყოველგვარი მოსაწყობილი, ორთქლით მრეცხავი მანქანები და საეკლესიო მოწყობილობა, დიდძალი რჩეული შპალერი 8 კაპეიკიდან ვიდრე მანეთ-ნახევრამდი თოფი.
საუკეთესო ქარხნის მბეჭდავი მანქანის წარმომადგენლობა ქუთაისის გუბერნიისა და ბათომის ოლქში მეკუთვნის მხოლოდ მე. ფასები მეტად დაკლებულია.

სავაჭრო სახლი გ. გოკიელის შვ-ები სავაჭრო სახლი

აუწყებს მოწაფეებს, რომ მათ შეუძენიათ დიდძალი საჭირო საწერი, სახატავი და საკანცელარიო ნივთები,

რომელნიც პირდაპირ მწარმოებლებისაგან არის ნაყიდი კარგი პირობებით. სავაჭრო სახლმა ბევრ ნივთებზე გასულ წელთან შედარებით ფასებ დაუკლო. ეს ფასი, რომელიც ხელმისაწვდომად იაფია, კარგათ იცის ქუთაისის საზოგადოებამ.

როს თავის პოლიტიკის განხორციელებაში. გერმანიის და იტალიის ელჩს ბელგრადში დაევალა ავსტრიის ელჩთან ერთად მოახსენოს სერბიის მთავრობას, რომ სერბიის ანდრიატიის ზღვაში შესვლას ეწინააღმდეგება გერმანიის და იტალიის ინტერესებსო. გერმანიის დიპლომატები ირწმუნებიან ჩვენი ასეთი ნაბიჯი ბალკანეთის საკითხში არავითარ საქმის გართულებას არ გამოიწვევსო. რუსეთი და სერბია აუცილებლათ უნდა დამორჩილდეს სამთა კავშირის ნებასო.

ოსმალეთიდან ოსმალო მოხელეები გარბიან. ნაზიმ-ფაშა ცთილობს მშვიდობიანობა დაამყაროს. ის იმ მოხელეებს რომლებიც გარბიან, სიკვდილით დავსჯითო ეუბნება. მახმედ შეფქეტ-ფაშა სამხედრო დიკტატორათ ინიშნება.

სკუტარიაში ბრძოლის დროს ოსმალებმა გაიმარჯვესო. ამ ბრძოლაში 1500 შავმთიელი მოკლეს და 600 დასჭრესო.

დაბა-სოფელი.

ს. ქვიგლა (გურია).

ამისთანა ღვთისგან მოძულებული სოფელი, ჩემის აზრით, იშვიათი იქნება მთელ დედამიწაზე. გურიაში მისი სახელი მეათედსაც არ ექნება გაგონილი. მთელ სოფელში ერთი რიგიანი წერა-კითხვის მცოდნე არ მოიპოვება და თითქმის ვერც ერთი თავის სახელის და გვარის მეტს ვერ დასწერს. უბრალო წერილის დასაწერათ მასწავლებელთან მირბიან. თავისი სახელის და გვარის მოწერა იმიტომ უსწავლიათ, რომ, როგორც მთის ხალხს, მეჯოგეებს უმეტეს ნაწილათ, ხშირათ უხდებოდათ რაიმე თავის ნაწარმოების გაყიდვის „ნასყიდობითი პირობაზე" ხელის მოწერა. ცრუმორწმუნეობას აქ ღრმად გაუდგამ, ფეხი. შიმშილით რომ მოკვდეთ, ორშაბათს არასფერს მოგყიდიან. მცხოვრებთა უმრავლესი ნაწილი—მხვნელ—მთესველი ნაწილია:

სახნავ—სათეს მიწას შეადგენს ნიადაგ ნაქეში, ალაგ გაჩეხილი მთები, სადაც სთესვენ უმთავრესად სიმინდს. მეჯოგეებს გარდა აქ გადმოსახლებულან უმიწობით შევიწროებული გლეხები, რადგანაც, თურმე, აქაური მიწების მესაკუთრენი—ერისთავ—ბერიძეები, მიწის ერთ ნაწილს უფასოთ აძლევდენ მას ვინც გაჩეხდა საყანეთ მიწებს. ცხადია „უხვ" მემამულეებს ბევრი მუშა ხელი გამოუჩნდებოდა და წყალ-წაღებული გლეხები ხავსს მოეკიდებოდენ. მაღლე უდაბურ ტყეში, საშიშარ კლდეებზე ცულდების კაკუნი გაისმა, ბუჩქ—ეკალნი ცეცხლის ალმა მოიცვა და ლამაზათ შემოსილ მთებს აქა იქ ზურგი მოუტიტვლეს. მოხნეს (თუმცა ეს ზოგიერთ ალაგას შეუძლებელია) მოსთესეს და ზედ სასიმიდეები წარმოდგეს. ქირნახულის სხვა სოფლებში გატანა აქედან შეუძლებელი იქნებოდა არა თუ წინათ ახლაც, როდესაც გზები მთავრობის განკარგულებით ძალიან გააუმჯობესეს, სჭირს ცხენით მგზავრობა და პირჯვრის წერით გადიან საშიშარ კლდეებს. ამ სოფლის მახლობლათ აღმოჩნდა მჟავე წყალი, რომელიც აქიმების შემოწმებით ცნობილია, როგორც სამკურნალო წყალი, კუჭის ტკივილის და სისხლინაკლებლობის წინააღმდეგ. აქვე გამოვლის აგარაკ ბახმაროზე ასასვლელი გზა. ეს გზა და ხსენებული წყალი წელს დაათვალიერა ოზურგეთის მაზრის უფროსმა და ხალხის თხოვნით მოხსენება წარადგინა ქუთაისის გუბერნატორის წინაშე, რათა ამ უკანასკნელის შუამდგომლობით ნამესტნიკთან, გამოეგზავნათ ინჟინერი ხსენებულ გზის პლანის შესადგენათ. გასული თვის შუა რიცხვებში მართლაც მოვიდა ინჟინერი და შეუდგა პლანის შედგენას, მაგრამ საჭირო მუშა ხელის უქონლობის გამო პლანის შედგენა გადიდო სხვა დროისთვის. მაზრის უფროსი შეპირდა ხალხს, რომ თუ გზას გაიყვანთ ინჟინრის პლანით, საჭირო ხრეშის და ქვის მოყრას მთავრობა იკისრებსო. ეს გზა, როგორც ამბობენ ყველაზე უახლოესი და მოხერხებული იქნება მომავალში ბახმაროზე ასასვლელათ. სასურველია, რომ ამ გზას ხალხი მეტი ყურადღებით მოეპყრობოდეს, რითაც დიდ სამსახურს გაუწევენ მოაგარაკეებს და ყველაზე უფრო დიდი მნიშვნელობა ექნება ამ გზის გაკეთებას ორი სოფლისთვის, ქვაბთა—ნაბეღლავისთვის. ამ უკანასკნელათ უხდებათ ამ გზით დამოკიდებულება სხვა სოფლებთან და ხიდის თავრის ატაურთან. უგზოობის გამო ესენი ჩამორჩენილი არიან ფიზიკურათ და ზნეობრივათ. მაგრამ ამათდა, სამწუხაროთ ხალხი არ თანაუგრძნობს ამ გზის გაკეთებას და მიუხედავათ მთავრობის სასტიკი ზომებისა, მუშები გარბიან, ემალებიან სოფლის მოხელეებს, რომელნიც დარაჯების დახმარებით იწვევენ ხალხს სამუშაოზე. სწორედ ამ მიზეზით იყო, რომ ინჟინერმა ძლიერ გამწყრალი მიატოვა ეს გზა და ყოველივე ნამესტნიკს მოხსენებით აცნობა. დრო შეიგნონ უგუნურებმა, რომ ამ გზის გაყვანით თავის თავს დიდს სარგებლობას მოუტანენ და ორი სამი დღის მუშაობით არავინ მოკვდება.

მეოთხე წელიწადი სრულდება, რაც ამ სოფელში ადგილობრივი საჯვარე ეკლესიის ღვდელს მამა ლუკა მამალაძეს გაუხსნია წერა-კითხვის შკოლა და მასწავლებლობა ამ უკანასკნელს უკისრია.

საყურადღებო და მისაბაძი მაგალითია მამა ლუკას დაუფასებელი შრომა დაბეჩავებულ ქვაბლელების საკეთილ დღეოთ: თითქმის უსასყიდლოთ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ორიოდე ხალხისაგან ნამოწყალევ გროშს. ემსახურა ხალხს მამა ლუკამ ოთხი წლის განმავლობაში, მიუხედავათ იმისა რომ შრომას არავინ უფასებდა და თვით ხალხი დიდათ არც კი უმადლიდა, რადგან მათი აზრით შკოლას გადასახადი მოყვებოდა და ამის ყველას ეშინოდა. მიმდინარე სამოსწავლო წლიდან ქვაბლის სკოლა დაამტკიცეს. სამრევლო ერთკლასიანათ, სადაც დანიშნეს მასწავლებელი ხაზინის ჯამაგირით. ამ სკოლაში სწავლობს ახლა 35 ბავშვი. ხალხს შვების იმედი მიეცა, როცა მასწავლებელი ხაზინის ჯამაგირით მოუვიდათ. ზოგიერთ მიმხვდარ გლეხის წინადადებით ახალ მასწავლებელს გაზეთი გამოუწერეს. („იმერეთი").

ქ. მამინაიშვილი.

წერილი რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესათ გთხოვთ ნება მომცეთ, თქვენი გაზეთის საშვალებით პასუხი გავცე თამოკონის სასწავლებლის ზედამხედველს ბ-ნ ალექსანდრე სალარეიშვილს.

გაზეთ „კოლხიდის" № 151-ში მოვათავსე პატარა წერილი, სადაც მოკლეთ და სინამდვილით შევეხე ხსენებულ საზოგადოთ ორკლასიანი სასწავლებელს, და მასთან მყოფი ბაღის მნიშვნელობას. სხვათა შორის იმ წერილში ვამბობდი: „შკოლას აშვენებს მეტათ ლამაზათ მორთული ბაღი, მაგრამ გლეხებისთვის იგი სულ ამაოა—ისინი ბაღით ვერ სარგებლობენ...

გაზეთ „იმერეთის" მე-16 №-ში ჩემდა საპასუხოთ წერილი ამოვიკითხე. დაწერილი ალექსანდრე სალარეიშვილის მიერ. ბ-ნ სალარეიშვილს ჩემი წერილი ჩქარათ წაუკითხავს, ერთბაშათ მოჩვენებია, თითქოს მე ვგმობდე, ვკიცხავდე საზოგადოთ სამეურნეო სწავლა-განათლებას. თამოკონის სამეურნეო განყოფილებიან შკოლასთან ბაღიც დაარსდა. შკოლის სახლის ასაგები და აგრონომიული განყოფილებით გამოწვეული ხარჯი გლეხკაცობას მძიმე უღლათ დააწვა, მაგრამ მაინც არ შეუშინდენ, რადგანაც ნაყოფიერ მომავალს მოელოდენ. მიწის ყიდვა მართალია, გლეხკაცობას ბაღისთვის არ დაჭირვებია, კერძო პირებისაგან იქნა შემოწირული, მაგრამ სხვა ხარჯი არ დაუზოგავთ, ოღონდ კი აგრონომიული განყოფილებისთვის ფართო გზა გაეკვლიათ. გავიდა ხანი, ბაღის მდგომარეობა თანდათან ვითარდებოდა, ნაყოფიც მოქონდა. ხალხმა როდესაც ნაყოფიერება დაატყო ბაღს, აირჩიეს გამგეთ ერთი სანდო პირი, რომელსაც დაავალეს ბაღის შემოსავალ-გასავალისთვის თვალ-ყური ედევნებია და ხალხისთვის „ანგარიში" წარედგინა. მაგრამ ამ პირმა სუსტათ მოკიდა დაწყებულ საქმეს ხელი, რამდენიმე თვე აქ თუ ისე განაგებდა, და ბოლოს დროს კი თავი სულ დაანება. დარჩა ბაღი ღვთის ანაბარათ. ჩავარდა ისეთების ხელში, რომელნიც მარტო თავის ინტერესებს მიზდევდენ და არა საზოგადოების საჭიროებაზე. ბაღი კერძო საკუთრებათ გახადეს...

აბა მიბძანეთ, როდის იყო „უფასოთ ურიგდებოდათ მოწაფეებს 300-400 ძირზე მეტი ხეხილის ხე, თელები სხვა და სხვა დასამყენი ყლორტები? შეიძლება, ერთხელ ან ორჯერ, რომელიმე კერძო პირს უფეშქაშეთ და თუ გგონიათ ფართო საზოგადოებას ემსახურებოდით! ნამყენებს ვყიდითო ამბობთ თქვენ, მეც მჯერა, მაგრამ ეგ შემოსავალი ხალხისთვის დაკარგულია, რადგანაც კერძო პირების მადლით მას საზოგადოებისთვის არ ცალია.

„ფართო დაწყებული საქმეს, დიდი ხარჯი ეჭირვება"-ო, ამბობთ თქვენ წერილში. ნუ დაგავიწყდებათ, რომ მუშებს ბაღისთვის არ ქირაობთ, ეგ გლეხებს ევალებათ: თუ დასამყენი რამ არის, ამას ხომ მოწაფეები უფასოთ ასრულებენ; თუ ღობე საჭირო იქნა, ისევ ხალხის ხარჯით კეთდება. მაშ სად მიდის შკოლის შემოსავალი, ან რა კულტურულ დაწესებულობამ ჩაიყარა საძირკველი თქვენი შკოლის შემოსავლით, სამუშაო მასალას და ხეხილის წამლობას ხომ არ უნდა, ამდენი შემოსავალი!

ჩემი ფიქრით, მარტო ხილის ფასი აუვიდოდა ამ გასავალს, და დანარჩენი სად მიდის: ღვინის, სიმიდის, დამყნილი ხეების და სხვა..., აბა რომელი გლეხის შვილს მიაწვდინეთ სასწავლო ნივთები? ამაზე თქვენ არაფერს ამბობთ.

ამ საზოგადოებაში ყოფნის დროს, ხალხისაგან ხშირათ გამიგონია საყვედური, და მეც ეს გაზეთის ფურცელზე აღვნიშნე. ხალხი ორჯერ მოსულა თქვენთან შემოსავალ-გასავლის გასაცნობათ, მაგრამ თქვენ ცივი უარით გამასპინძლებიხართ.

ნახურცილოელი.

რედაქტორ-გამომცემელი
გ. ე. ჭელიძე

სახალხო გაზეთი ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

მიიღება ხელის-მოწერა 1912 წლისათვის.
ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1912 წელსაც გაზეთს ექნება
სურათებიანი დამატება
(კვირაობით)
პრემიად 1912 წლის ხელის მომწერთ მიეცემათ გრდემლი
ქართულ სიტყვა-კაზმულ საზოგადოების კრებულის პირველი ტომი, რომელიც „სახალხო გაზეთის" რედაქციამ სრულ საკუთრებად შეიძინა.
კრებული „გრდემლი" დაახლოვებით 500 გვერდიანი იქნება, იბეჭდება და ხელის-მომწერთ იანვარშივე დაურიგდება.

გაზეთის ფასი წლიწადში 8 მ. და 50 კ. ცალკე № შაურად. დამატებიანი 7 კაპ.

12 თ.	11 თ.	10 თ.	9 თ.	8 თ.	7 თ.	6 თ.	5 თ.	4 თ.	3 თ.	2 თ.	1 თ.
8.50	8.	7.50	6.75	6	5.25	4.50	3.75	3.	2.25	1.50	.75

საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.
ადრესის გამოსაცვლელი ფასი ტფილისისა ტფილისს გარედ, ან ტფილისის გარეთისა ისევ ტფილისის გარეთისაზე 40 კაპ.
დანარჩენ შემთხვევებში უფასო.
ექვსი შაური უნდა გადიხადოს კიდევ იმ ხელის მომწერმა, რომელსაც სურს კრებული „გრდემლი" მიიღოს ფოსტით. ქუთაისისა, ბათომისა, სოხუმისა, ფოთისა, გორისა და თელავის ხელის მომწერნი მიიღებენ პრემიას ადგილობრივ აგენტთაგან.
წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი ნაწილობით 8 მან. 50 კაპ. შეუძლიანთ გადაიხადონ მხოლოდ შემდეგ ვადებზე უნდა იყოს გადახდილი: ხელის მოწერისათანავე 3 მ.; 1 მარტამდის 2 მ.; 1 მაისამდე 2 მ. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ივლისამდე.
გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1912 წლის გასულისა.
ხელის მოწერა მიიღება:
1) „სახალხო გაზეთი"-ს კანტორაში, (სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან).
2) ქ. წ. წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის წიგნის მაღაზიაში.
3) ფოსტით: Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети". П. Ящ. 190.
წიგნის მაღაზიების საყურადღებოდ:
წიგნის მაღაზიებს, რომლებიც მიიღებენ ხელის მოწერას საკომისიოდ მიეცემა 5%.

გაზეთი იმერეთი იყიდება მესხეთის ქ. მოვაჭრე ამროსი ხვინგიასთან, ორპირის ქუჩაზე, მეთუნუქე ვანო ტორაძის სახელოსნოში. იქვე მიიღება ხელის მოწერაც.

გ. გორდაძის და ს. წერეთლის
რკინეულობის მაღაზიაში იყიდება:
საუკეთესო
ქარხნებისაგან
მიღებული რკინეული
საქონელი: კარის, ფანჯრის
და ლუმელის მოწყობილობანი;
სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის
მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი სადებავი წამალი,
ელექტრონის ზარის მოწყობილობანი, შპალიერი,
ცემენტი, ემალიანი ჭურჭლები, ასფალტი, და სხ.
ვაჭრობა პარტიით და წვრილათ ხელმისაწვდომ ფასათ.
ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მიხაილის ქუჩაზე № 65.

ლანჩხუთის წიგნის და კანცელარიის მაღაზია
აცნობებს ლანჩხუთის რაიონის მასწავლებლებს, რომ აქ დამზადებულია და იყიდება ყოველგვარი საკანცელარიო—სასწავლო ნივთები: რვეულები, დღიური, საუკეთესო კალმები, მელანი, ქაღალდი და სხ. ამასთანავე აქვე იყიდება საუკეთესო ქართული და რუსული გაზეთები და ჟურნალები.
პატივისცემით გალანდამე

ფართლეულობის მაღაზია
ძმ. ბ. და ი. გ. ბალანჩივაძეებისა
(ქ. ქუთაისში ვარანცოვის ქუჩაზე)
მიღებული გვაქვს საუკეთესო ხარისხის მატერიები: მაგალითად საკოსტიუმე ტრიკოები, დიაგანალები, საპალტო დრაფები და აგრეთვე ყველა ჯურის ბამბეული და ტილეულობა შალის და ბამბის ფუფაიკები
ფასები ძლიერ ხელმისაწვდომია რაშიდაც ჰსურთ. მუშტრები დარწმუნდებიან.
პატივისცემით ძმ. ბ. და ი. ბალანჩივაძეები.

ელექტრო-საბეჭდავი ზეიძისა და ქარხაიხოვის, ქუთაისში.